

**მასწავლებელთა პროფესიული განვითარების
საგანმანათლებლო პროგრამა**

ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება – ქართულის, როგორც მშობლიური ენის, სწავლება

პროგრამის მოცულობა ECTS კრედიტებისა და საათების (საკონტაქტო და დამოუკიდებელი) რაოდენობის მითითებით – 4 ECTS კრედიტი (82 საკონტაქტო, 18 დამოუკიდებელი მუშაობის საათი, სულ: 100 საათი).

პროგრამის ხანგრძლივობა – მასწავლებლებს ექნებათ საშუალება აირჩიონ მათთვის სასურველი ფორმა: 1) სტანდარტული – 2 თვე (შაბათ-კვირას საკონტაქტო საათები); 2) ინტენსიური – კვირეული დატვირთვის გაზრდის ხარჯზე.

პროგრამის განხორციელების ადგილი – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3, III კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11, V კორპუსი, მისამართი: ი. ჭავჭავაძის გამზ. № 36.

პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა – ჯგუფში მსმენელთა მაქსიმალური რაოდენობა: 25.

პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსების რაოდენობა – 4 მასწავლებელი.

პროგრამის ავტორი / ხელმძღვანელი (ფიზიკური ან/და იურიდიული პირი) – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი ნინო შარაშენიძე.

პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის დიპლომი. პროგრამა განკუთვნილია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიული განვითარებისათვის.

პროგრამის ღირებულება – 160 ლარი (1 კრედიტი – 40 ლარი).

პროგრამის შემუშავების თარიღი – 2008 წლის დეკემბერი (პროგრამა დამტკიცებულია თსუ რექტორის 2008 წლის 19 დეკემბრის # 112/01-01 ბრძანებით).

პროგრამის მოდიფიცირების თარიღი – 2009 წლის იანვარი, თსუ რექტორის 2009 წლის 20 იანვრის # 04/01-01 ბრძანების შესაბამისად.

პროგრამის შინაარსი

პროგრამის მიზნები და ამოცანები – პროგრამის მიზანია მასწავლებლებს გააცნოს სწავლების თანამედროვე მეთოდები და სასწავლო პროცესისადმი ახლებური მიდგომები, რაც ხელს შეუწყობს ქართული ენის სწავლებას საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.

პროგრამის ამოცანებია:

- მასწავლებელთათვის ახალი მეთოდების მნიშვნელობის გაცნობა, სხვადასხვა სტრატეგიისა და პრაქტიკაში მათი გამოყენების გზების დაუფლება;
- მასწავლებელთათვის მშობლიური ენის სწავლების თეორიების გაცნობა;
- მშობლიური ენის სწავლების პრაქტიკული ხერხებისა და სტრატეგიების გაცნობა;
- შეფასების სისტემის გაცნობა და მისი ეფექტური გამოყენების მეთოდური ანალიზი;

პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები – პროგრამის გავლის შემდეგ მასწავლებლებს:

- ეცოდინებათ მშობლიური ენის სწავლების ყველა მეთოდისა და სტრატეგიის მნიშვნელოვანი თეორიული და პრაქტიკული ასპექტები;
- შეძლებენ ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას და მაღალი დონის გაკვეთილის ჩატარებას;
- შეძლებენ სხვადასხვა მოსაზრების პოზიტიურად აღქმას და სწორ რეაგირებას;
- კონკრეტულ სიტუაციაში საგანმანათლებლო პრობლემებისა და საკითხების გადაწყვეტას;
- საგაკვეთილო პროცესის საინტერესოდ და ეფექტურად აგებას;
- შეძლებენ მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას.

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი – პროგრამაში ჩართული იქნება ერთი საგანმანათლებლო კურსი, რომელიც მოიცავს 100 საათს (82 საკონტაქტო და 18 დამოუკიდებელ საათს).

სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება როგორც სალექციო, ისე სემინარული მუშაობის ფორმები (ე. წ. ტრენინგები), გარკვეული დრო დაეთმობა მასწავლებელთა მიერ მომზადებული გაკვეთილების პრეზენტაციას და მათ განხილვას. ჩატარდება ტესტირება. იწარმოებს ჯგუფური მუშაობა, მომზადდება პროექტები, ყურადღება მიექცევა ურთიერთსწავლების ფორმას, მომზადდება ჯგუფური დავალებები, მასწავლებლები გაეცნობიან და იმსჯელებენ სპეციალურ ლიტერატურაზე, შესრულდება წერიტი დავალებები, ჩატარდება ინდივიდუალური კონსულტაციები, შეიქმნება ნაშრომები და მოხდება მათი წარდგენა-პრეზენტაცია.

პროგრამის შინაარსი, ძირითადი თემები და საკითხები, მათი მოცულობა და დროში განაწილება მოცემულია სასწავლო გეგმაში.

სასწავლო გეგმა

1. კურსის აღწერა, შესავალი მშობლიური ენის სწავლების მეთოდულ კურსში, მონაწილეთათვის კურსის მიზნებისა და ამოცანების გაცნობა, მათი საჭიროებებისა და ინტერესების გაგება სპეციალურად შექმნილი ტესტის მეშვეობით – შესავალი ლექცია, დისკუსია; 2 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია).
2. ქართული ენისა და ლიტერატურის ეროვნული სასწავლო გეგმის გაცნობა, მისი სტრუქტურა, შედგენის ძირითადი პრინციპების გაანალიზება. პრაქტიკული სამუშაო სტანდარტის გასაცნობად – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო).
3. უნარ-ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული მიმართულებები, მოსმენისა და ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარების მნიშვნელობა – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო).
4. მოსწავლეთა ინტერესებისა და მოთხოვნების დადგენა, გაანალიზება და გათვალისწინება სასწავლო პროცესში ეფექტური გაკვეთილის მისაღებად – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო).
5. მშობლიური ენის სწავლების საკითხი დაწყებით სკოლაში; დაწყებითი სკოლის სპეციფიკა და მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინება; სხვადასხვა აქტივობის გაანალიზება და მათი გამოყენება სასწავლო პროცესში; მოსმენისა და ზეპირმეტყველების უნარის განვითარებისათვის საჭირო აქტივობები – 6 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო, 2 საათი სემინარი).
6. კითხვის უნარ-ჩვევის განვითარება. კითხვის უნარ-ჩვევების განვითარების სტრატეგიების გაცნობა და პრაქტიკაში მისი გამოყენების ანალიზი – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო).
7. წერის უნარ-ჩვევის განვითარება. წერის უნარ-ჩვევების განვითარების სტრატეგიების გაცნობა და პრაქტიკაში მისი გამოყენების ანალიზი – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი პრაქტიკული სამუშაო).
8. მშობლიური ენის სწავლება საშუალო და საბაზო სკოლაში. მოსმენის, ზეპირმეტყველების, კითხვისა და წერის უნარ-ჩვევების განვითარება სხვადასხვა სტრატეგიით. აქტივობათა განხილვა, გაანალიზება და პრაქტიკაში გადატანა. რამდენიმე გაკვეთილის დაგეგმვა და პრეზენტაცია. 8 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი სემინარული მუშაობა, 4 საათი პრაქტიკული სამუშაო, 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)
9. მასწავლებელთა ლინვისტური დონის ამაღლება. გრამატიკის სწავლების საკითხი ეროვნულ სასწავლო გეგმაში, სახელმძღვანელოთა განხილვა ამ კუთხით. 8 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი სემინარული მუშაობა, 4 საათი პრაქტიკული სამუშაო, 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)
10. სისტემური გრამატიკის კურსი – 12 საკონტაქტო საათი (6 საათი ლექცია, 6 საათი სემინარი, 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)
11. პრაქტიკული გრამატიკის კურსი – 10 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 4 საათი სემინარი, 4 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)

12. დისკუსიისა და დებატების მოწყობა, პროექტის მომზადება, მეთოდები, სტრატეგიები – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი სემინარი, 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)
13. შეფასების სისტემის ანალიზი მშობლიური ენის სწავლების პროცესში – 4 საკონტაქტო საათი (2 საათი ლექცია, 2 საათი სემინარი, 10 საათი დამოუკიდებელი სამუშაო)
14. საჩვენებელი გაკვეთილების მომზადება, პრეზენტაცია და განხილვა – 4 საკონტაქტო საათი, 15 საათი დამოუკიდებელი სამუშაო
15. პროექტის მომზადება, პრეზენტაცია და განხილვა – 4 საკონტაქტო საათი, 15 საათი დამოუკიდებელი სამუშაო.

კურსის ფარგლებში დამუშავებული იქნება შემდეგი ლიტერატურა:

1. მ. ნაჭყებია, მ. ინასარიძე. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები. თბ; 2008
2. ქ. გოჩიტაშვილი, გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე. აკადემიური წერა. თბ; 2008
3. გ. შაბაშვილი, ნ. შარაშენიძე, წერის ტექნიკა. თბ; 2008
4. ქ. გოჩიტაშვილი, ნ. დანელია. სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში. თბ; 2006.
5. ნ. გაფრინდაშვილი, დ. თვალთვაძე, ქართული მართლწერის წესები და სავარჯიშოები, თბ., 2008

ხარისხის უზრუნველყოფა

პროგრამის რაციონალური საფუძვლები – თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში წლების განმავლობაში დამოუკიდებელ საგნად ისწავლებოდა ქართული / მშობლიური ენისა და ლიტერატურის სწავლების მეთოდოლოგია. უნივერსიტეტი ამზადებდა საშუალო სკოლის მასწავლებელთა კადრებს, რომლებიც ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელთა დიდ ნაწილს შეადგენს. ახალმა მიდგომამ და ახალმა მეთოდოლოგიამ დასვა მასწავლებელთა გადამზადებისა და ახალი მეთოდური სტრატეგიებით მათი აღჭურვის აუცილებლობა. უნივერსიტეტს აქვს შესაბამისი ბაზა, შესაძლებლობა და ერთგვარი ვალდებულებაც მასწავლებელთა გადამზადებისა და სერთიფიცირების პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღოს. უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედებს პედაგოგიური მიმართულების მაგისტრატურა, რომელზეც მომზადებულია სხვადასხვა საგნის სილაბუსები და სპეციალისტები, რაც სერთიფიცირების პროცესისათვის მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მოსულ მასწავლებელს უნივერსიტეტი შესთავაზებს არა მარტო კარგად დამუშავებულ კურსებს, არამედ მაღალი დონის სპეციალისტებს, რომლებიც იცნობენ თანამედროვე მიდგომებსა და პედაგოგიკის უმნიშვნელოვანესი ამოცანების დასაძლევად მათ სათანადო დახმარებას გაუწევენ.

მშობლიური ენა და ლიტერატურა სასკოლო სივრცეში უმთავრეს საგნად ითვლება, რადგან იგი აძლევს ცოდნას არა მარტო მშობლიურ ენასა და ლიტერატურაში, როგორც ერთ კონკრეტულ საგანში, არამედ უყალიბებს მოსწავლეს აზროვნების, მსჯელობისა და ანალიზის უნარს. ამდენად მშობლიური ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის წინაშე მეტად მნიშვნელოვანი ამოცანები დგას. სწორედ ამიტომ მასწავლებელს ესაჭიროება არა მარტო საგნის, არამედ უახლესი მეთოდოლოგიის ცოდნა და მათი პრაქტიკაში გამოყენების გზების გაცნობიერება. უნივერსიტეტის მიერ მასწავლებელთა გადამზადებისათვის შექმნილი პროგრამები გულისხმობს ამ მნიშვნელოვანი მიზნისათვის მასწავლებელთა მაღალ დონეზე მომზადებას.

ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლების პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები, კონტრაქტით ან საათობრივი წესით მოწვეული მასწავლებლები (ნინო შარაშენიძე, რამაზ ქურდაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი, გიული შაბაშვილი). ისინი კარგად იცნობენ სასკოლო რეფორმის მოთხოვნებს და სკოლაში სწავლების თავისებურებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილეები ნინო შარაშენიძე, რამაზ ქურდაძე, ქეთევან გოჩიტაშვილი წლების განმავლობაში ასწავლიდნენ ქართულ ენასა და ლიტერატურას როგორც ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში, ისე სხვადასხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ნინო შარაშენიძესა და ქეთევან გოჩიტაშვილს მონაწილეობა აქვთ მიღებული პროექტებში, რომელთა დიდი ნაწილი უკავშირდება ენის სხვადასხვა საფეხურზე სწავლების პრობლემატიკასა და ქართულის, როგორც მეორე ენის სწავლებასთან დაკავშირებულ საკითხებს. ქეთევან გოჩიტაშვილი წლების განმავლობაში იყო პედაგოგიური პრაქტიკის ხელმძღვანელი ქართულ ენასა და ლიტერატურაში, გამოცემული აქვს სახელმძღვანელოები და სტატიები, რომლებიც უკავშირდება ქართული ენის სწავლების სირთულეებს. ნინო შარაშენიძე არის VIII – XI

კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის იმ სახელმძღვანელოების თანაავტორი, რომლებმაც წარმატებით გაიარა პილოტირება, მიიღო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფი. გარდა ამისა, მას მოსმენილი აქვს რვა ტრენინგი ქართული ენის სწავლების მეთოდოლოგიაზე.

მონაწილეთა შეფასების სისტემა – მონაწილეთა შეფასებისას გამოიყენება შეფასების 100–ქულიანი, მრავალკომპონენტიანი სისტემა.

	ქულები	საბოლოო შეფასების %
დასწრება და მონაწილეობა/აკადემიური ჩანაწერების პორტფოლიო	20	20 %
პრაქტიკული სავარჯიშოები	20	20 %
საგაკვეთილო მოდელები	10	10 %
პროექტის მომზადება, განხილვა და პროექტის პრეზენტაცია	50	50 %
სულ	100	100 %

- აკადემიური პორტფოლიო გულისხმობს შემდეგს: მასწავლებელს მოეთხოვება თითოეული თემის გავლის შემდეგ ორგვერდიანი აკადემიური ჩანაწერის შესრულება და ტრენინგისთვის გადაცემა. ტრენინგი კომენტარებს გაუკეთებს აკადემიურ ჩანაწერებს და დაუბრუნებს მასწავლებელს. აკადემიური ჩანაწერების ერთობლიობა შეადგენს აკადემიურ პორტფოლიოს.
- პრაქტიკული სავარჯიშოების შესრულება მსმენელებს მოეთხოვებათ თითქმის ყოველი მეცადინეობისათვის (კერძოდ, გამოკითხვის ეს ფორმა მე-2, მე-3, მე-5, მე-6, მე-7, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-13 თემის ფარგლებშია გათვალისწინებული). თითოეული სავარჯიშო ფასდება მაქსიმუმ 2 ქულით, სულ – მაქსიმუმ 20 ქულით.
- საგაკვეთილო მოდელების შეფასება ხდება ერთხელ სასწავლო კურსის განმავლობაში მე-14 თემის ფარგლებში და ფასდება მაქსიმუმ 10 ქულით.
- პროექტის მომზადებას, განხილვასა და პრეზენტაციას ეთმობა ბოლო, მე-15 თემის 4 საკონტაქტო და 15 დამოუკიდებელი მუშაობის საათი და ფასდება 50 ქულით.

საბოლოო შეფასება მოხდება კურსის დასრულებისას შუალედური შეფასების კომპონენტების შეჯამებით.

კურსის დამაკმაყოფილებლად დასრულებისთვის აუცილებელია საერთო შეფასების 51% დაგროვება.

სწავლისთვის აუცილებელი დამხმარე პირობები – პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკით, სადაც ინახება ყველა ის სახელმძღვანელო, რომელთა გამოყენებაც გათვალისწინებულია ქართულის, როგორც მშობლიური ენის მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით.

პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ აგრეთვე თსუ კომპიუტერული რესურს-ცენტრებით, UTP საკაბელო ინტერნეტ-კავშირით.

ლექციებზე გამოყენებული იქნება თვალსაჩინოება – სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები (power point).

პროგრამის მონაწილეებს სახელმძღვანელოდ დაურიგდებათ ტრენერის მიერ მომზადებული მასალების ასლები.

პროგრამის მსმენელებს სისტემატურად ჩაუტარდებათ კონსულტაციები, სადაც მიიღებენ კვალიფიციურ პასუხს მათ მიერ დასმულ კითხვებზე, რომლებიც შეეხება როგორც პროფესიულ ცოდნას, ისე სწავლების მეთოდიკას.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები – კრედიტების შესაბამისი რაოდენობის დაგროვება. თითოეულ მოდულში კრედიტის მინიჭების წინაპირობაა 51 ქულის დაგროვება.

პროგრამის შეფასება – პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფისა და გაუმჯობესებისათვის გამოიყენება თვითშეფასებისა და ხარისხის გაუმჯობესების სტრატეგია, რომელიც გულისხმობს შემდეგ მექანიზმებსა და პროცედურებს:

ა) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის შიდა საუნივერსიტეტო შეფასება თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის (ექსპერტების მიერ) სპეციალური ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 19 სექტემბრის # 800 ბრძანების და სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოთხოვნების თანახმად და რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით. აღნიშნული ფორმისა და კრიტერიუმების გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>);

მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამები წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 22 დეკემბერს. 2009 წლის იანვარში აღნიშნული პროგრამები შეფასდა თსუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრების მიერ ზემოთ მითითებული კრიტერიუმების შესაბამისად და მოხდა მათი სრულყოფა თსუ რექტორის 2009 წლის 20 იანვრის # 04/01-01 ბრძანების შესაბამისად.

ბ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის საჯარო განხილვა თსუ აკადემიური პერსონალის, მოწვეული ლექტორების, საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების მეცნიერ-თანამშრომლების, პოტენციური დამსაქმებლების, პროფესიული კავშირებისა და სამიზნე ჯგუფის წარმომადგენლების (ანუ სკოლის მასწავლებელთა) მონაწილეობით; საჯარო განხილვის დროს გამოთქმული შენიშვნების, მოსაზრებების, წინადადების გათვალისწინება პროგრამის შემუშავებისა და სრულყოფის პროცესში;

გ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურა, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით; აღნიშნული პროცედურის გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>);

დ) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელთა გამოკითხვა პროგრამის დასრულების შემდეგ, ხოლო მსმენელების შენიშვნების გათვალისწინება პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად. კითხვარი დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით და მისი გაცნობა შესაძლებელია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ე) მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის ლექციებზე (პრაქტიკუმებზე, სემინარებზე) სხვა კოლეგების დასწრება. ლექციის (პრაქტიკუმის, სემინარის) შეფასება გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული ფორმისა და კრიტერიუმების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით და განთავსებულია თსუ ვებ-გვერდზე (<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-kitxvari.doc>);

ვ) სერტიფიკატის გაცემა გათვალისწინებულია საგანგებოდ შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია თსუ რექტორის ბრძანებით.

ხარისხის უზრუნველყოფის ზემოთ მოყვანილი მექანიზმები და პროცედურები ეფუძნება საქართველოს კანონმდებლობას, თსუ წესდებას (იხ.: www.tsu.ge/docs/cesdeba.pdf, www.tsu.ge/docs/cesdebashi%20cvlileba-saministro.pdf), „ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებსა და სახელმძღვანელო პრინციპებს ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში“, რომელიც მომზადებულია უმაღლეს განათლებაში ხარისხის უზრუნველყოფის ევროპული ასოციაციის (ENQA) მიერ (იხ.: www.tsu.ge/qa/doc/QA_geo.pdf).

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსები

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური რესურსები – ქართულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის 2 წარმომადგენელი, 2 ხელშეკრულებით მოწვეული პედაგოგი.

პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საორგანიზაციო საკითხებს აგვარებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი და წევრი ქართული ფილოლოგიის მიმართულებით.

პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან გაფორმდება ხელშეკრულება, რომლითაც განისაზღვრება მათი სამუშაო დატვირთვა (საკონტაქტო საათები) და შესაბამისი ანაზღაურება. მოწვეული პედაგოგების ანაზღაურების საკითხი რეგულირდება თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2008 წლის 30 იანვრის # 12/02–01 და 2008 წლის 2 მაისის # 58/02–01 ბრძანებებით.

პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის მიმართ არსებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების წარმოდგენისა და დამტკიცების პროცედურაში, აღნიშნული პროგრამების შეფასების ფორმასა და კრიტერიუმებში, რომლებიც დამტკიცებულია თსუ აკადემიური საბჭოს # 175 დადგენილებით

(<http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-program-procedure.doc>, <http://www.tsu.ge/qa/doc/teacher-education-programs-evaluation.doc>). კერძოდ, პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის სამეცნიერო/აკადემიური ხარისხი, სწავლის, მუშაობის, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება უნდა შეესაბამებოდეს მასწავლებლის პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები – ქართულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება თსუ III და V კორპუსებში, კერძოდ, შემდეგ სასწავლო აუდიტორიებში:

მისამართი	კორპუსის #	აუდიტორიის #	ფართი
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	115	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	121	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	208	50 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	220	50 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	224	30 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	232	43 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	313	108 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 36	თსუ V კორპუსი	318	27 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	110	43 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	204	66 მ ²
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 11	თსუ III კორპუსი	215	38 მ ²

ქართულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ II კორპუსის კომპიუტერული რესურს-ცენტრით და საშუალება ექნებათ თავისუფლად გამოიყენონ ინტერნეტ-რესურსები პროფესიული განვითარების მიზნით:

მისამართი	კორპუსის #	რესურს-ცენტრში კომპიუტერების რაოდენობა
ი. ჭავჭავაძის გამზ. # 3	თსუ II კორპუსი	40

ლექციებზე გამოყენებული იქნება სადემონსტრაციო ტექნოლოგიური საშუალებები – პორტატული კომპიუტერი და პროექტორი.

ქართულის, როგორც მშობლიური ენის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამის მსმენელები ისარგებლებენ თსუ შემდეგი ბიბლიოთეკებით, სადაც ინახება პროგრამით გათვალისწინებული ყველა სახელმძღვანელო:

მისამართი	ბიბლიოთეკის დასახელება	წიგნადი ფონდი
უნივერსიტეტის ქ. # 11	საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა	4 291 941 წიგნი

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო რესურსების შენარჩუნებისა და გაუმჯობესების სტრატეგია – 2007 წლის 19 მარტს თსუ აკადემიური საბჭოს # 14 დადგენილებით დამტკიცდა თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმა 2007–2010 სასწავლო წლებში (იხ.:<http://www.tsu.ge/news/acadc/dad14.asp>), რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- მასწავლებელთა გადამზადების ცენტრის შექმნა;
- სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება-დანერგვა;
- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება;
- თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვა სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში;
- საბიბლიოთეკო ფონდის განახლება;
- მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრული რეაბილიტაცია.

თსუ სტრატეგიული განვითარების გეგმის ზემოთ აღნიშნული ამოცანების განსახორციელებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკვე გადაიდგა შემდეგი ნაბიჯები:

ა) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე შეძენილია 1 200 კომპიუტერზე მეტი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითმფეასების კითხვარის დანართის სახით.

ბ) დღეისათვის თსუ-ს ექვს ფაკულტეტს ემსახურება 26 კომპიუტერული ლაბორატორია და რესურს-ცენტრი.

გ) თსუ-ში ფუნქციონირებს: ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ბიბლიოთეკა, იურიდიული საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ეკონომიკისა და ბიზნესის საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, მედიცინის საფაკულტეტო ბიბლიოთეკა, ევროპული კვლევების ინტერფაკულტატური ბიბლიოთეკა, ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის ბიბლიოთეკა, ბრიტანული ბიბლიოთეკა.

დ) 2006–2008 წლებში, ანუ ინსტიტუციური აკრედიტაციის მინიჭებიდან დღემდე თსუ ბიბლიოთეკების წიგნად ფონდს დაემატა 755 998 სახელმძღვანელო, რისი დამადასტურებელი დოკუმენტაციაც წარდგენილ იქნა სსიპ განათლების აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში 2008 წლის 17 ნოემბერს, თვითშეფასების კითხვარის დანართის სახით.

ე) ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე მოქმედებს ელექტრონული სწავლების სისტემა Moodle: <http://moodle.science.tsu.ge>. უახლოეს მომავალში იგეგმება მსგავსი სისტემის დანერგვა თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზეც.

ვ) ამჟამად მიმდინარეობს თსუ-ს პირველი და მეორე კორპუსის სრული რეაბილიტაცია, რომელსაც აფინანსებს ფონდი „ქართუ“. თსუ მეორე კორპუსში ცალკეული აუდიტორიების რეაბილიტაცია და სასწავლო ინვენტარით აღჭურვა ხდება საქართველოში აკრედიტებული დიპლომატიური წარმომადგენლობების მიერ. დაგეგმილია თსუ-ს მაღლივი კორპუსების ტერიტორიის კეთილმოწყობა და „ცოდნის ქალაქის“ მშენებლობა, რისთვისაც გათვალისწინებულია სხვადასხვა წყაროებიდან 250 მლნ. ლარის მობილიზება (იხ. სააკრედიტაციო დოკუმენტაციაზე თანდართული ვიდეო-რგოლი).

ზ) 2008 წლის დეკემბერს 29 დეკემბერს თსუ წარმომადგენლობითმა საბჭომ დაამტკიცა თსუ შემდეგი ადმინისტრაციული სტრუქტურები: „საინფორმაციო ტექნოლოგიების ცენტრი“, რომელიც მიზნად ისახავს თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების დანერგვას სწავლების, კვლევისა და ადმინისტრირების პროცესში და „აკადემიური განვითარებისა და უწყვეტი განათლების ცენტრი“, რომლის მიზანია: მასწავლებელთა პროფესიული განვითარების საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და ამოქმედებაზე ზრუნვა, სხვადასხვა სახის სასერტიფიკატო პროგრამების შემუშავება–დანერგვა, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაციის სისტემატური ამაღლება და სხვ.